



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-13

2011 წლის 25 თებერვალი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ა დ გ ი ნ ა:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-33 დადგენილებაში (სსმ 12.01. 2011 წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

2. 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

3. იურიდიული სამსახური შექმნილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 აგვისტოს №8 დადგენილების შესაბამისად.

3. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2.

ა) გამგებლისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე სამართლებრივი აქტების წარდგენის ინიციატივის განხორციელებაში ხელშეწყობა;

4. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 3.

ა) ახორციელებს იმ სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას, რომელიც გამგებლის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე არის ინიცირებული“;

5. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.

ბ) კოორდინაციას უწევს გამგებლის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტების საბოლოო რედაქციის შემუშავებას და ამზადებს სათანადო დოკუმენტაციას;”

6. ამოღებულ იქნას თავი VI.

7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

